

საბჭოთა ხალხმა, მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ საზეიმოდ აღნიშნეს 1 მაისი — მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღე.

სურათზე: თბილისის რესპუბლიკის მოედანზე საპირველმაისო დღესასწაულის ერთ-ერთი ფრაგმენტი.
ჯავარ ლომაძის ფოტო.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

5 მაისი, სამშაბათი, 1987 წ.
№ 87 (9498) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კვარცხლბეკზე არიან საქართველოს სპორტსმენები:

**თავისუფალი ჭიდაობა.** ევროპის ჩემპიონატი. **ლერი ხაბელოვი** (100 კგ) და **ზაზა თურმანიძე** (130 კგ) — ორივე ოქროს მედალი;

**სასტენდო სროლა.** სსრ კავშირის თასი. **არჩილ საბედაშვილი** — მეორე ადგილი;

**ტყვიის სროლა.** საკავშირო პირადი პირველობა. **ნინო სალუქვაძე** — მპ-10 ვარჯიშში ვერცხლის მედალი, პპ-2-ში ბრინჯაოს მედალი;

**ველოსპორტი.** საკავშირო შეჯიბრება. **ოთარ მჭედლიშვილი** — 200 მ. გიტი, მეორე ადგილი;

**ნიჩბოსნობა (ბაიდარა და კანოე)** საკავშირო თასის გათამაშება 10.000 მეტრზე. **კახა ლომიშვილი** — მესამე ადგილი (ოთხადგილიანი ბაიდარა).

# გულოცავთ!



ლერი ხაბელოვი.



ზაზა თურმანიძე.

**ველიკო-ტირნოვო (ბულგარეთი).** დამთავრდა ევროპის ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში. საბჭოთა ათლეტებმა ეს პრესტიჟული ტურნირი ბრწყინვალედ ჩაატარეს — შვიდი ოქროსა და ორი ვერცხლის მედალი მოიპოვეს. გუნდური გამარჯვება, ცხადია, ჩვენს მოჭიდავეებს დარჩათ.

წარმატებით იასპარეზეს ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმაც. ლერი ხაბელოვმა ოქროს მედალი მოიპოვა ქვემძიმე წონაში, ზაზა თურმანიძეს კი ანალოგიური შედეგი ჰქონდა მძიმე წონაში.

ჩემპიონები წონითი კატეგორიების მიხედვით გახდნენ: მარიან ავრამოვი (48 კგ, ბულგარეთი), ვალენტინ იორდანოვი (52 კგ, ბულგარეთი), სერგეი ბელოგლაზოვი (57 კგ, კიევი), ხაზარაგ ალი-ოღლი ისაევი (62 კგ, მოსკოვი), არსენ ფაძაევი (68 კგ, ტაშკენტი), ადლან ვარაევი (74 კგ, გროზნო), ალექსანდრე ნანევი (82 კგ, ბულგარეთი), მახარბეკ ხადარცევი (90 კგ, ტაშკენტი), ლერი ხაბელოვი (100 კგ, თბილისი), ზაზა თურმანიძე (130 კგ, თბილისი).

საბჭოთა მოჭიდავეთაგან ვერცხლის მედლები მოიპოვეს ორჯონიკიძელმა ვლადიმერ ტოგუზოვმა (52 კგ) და კრასნოიარსკელმა ვლადიმერ მოდოსიანმა (82 კგ).

## ჩემპიონის შემდეგით

**ოდესაში** გამართულ მესტენდურეთა საკავშირო თასის გათამაშებაში, თავი გამოიჩინა 22 წლის თბილისელმა მსროლელმა, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა არჩილ საბედაშვილმა. მან ადგილიდან სროლაში მეორე ადგილი დაიკავა. აღსანიშნავია, რომ საბედაშვილმა იმდენივე ქულა მოაგროვა, რამდენიც გამარჯვებულმა კიეველმა ალექსანდრე მანაკოვმა, მაგრამ უკანასკნელ სერიაში ნაჩვენებმა შედეგებმა ჩვენი სპორტსმენი მეორე ადგილზე დატოვა.

ინტერვიუს არჩილ საბედაშვილთან ჩვენი გაზეთის უახლოეს ნომერში შემოგთავაზებთ.



არჩილ საბედაშვილი.

## ორი მედალი ერთ შეჯიბრებაში

**სოხუმში** თბილისელმა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ნინო სალუქვაძემ მპ-10 ვარჯიშში 600 შესაძლებლიდან 571 ქულა მოაგროვა და ტყვიის მსროლელთა პირადი საკავშირო ასპარეზობის მეორე პრიზიორი გახდა. გარდა ამისა, ნინომ პპ-2 ვარჯიშში 484 ქულით ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.



ნინო სალუქვაძე.

## დღეს და ხვალ!

კალათბურთის მოყვარულებს შევახსენებთ, რომ რესპუბლიკური ჩემპიონატის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი თბილისის უნივერსიტეტისა და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდებს შორის შედგება 5 და 6 მაისს თბილისის სპორტის სასახლეში. მატჩები 19 საათზე დაიწყება.

## 5 მაისი ბეჭდვითი სიტყვის დღეა!

## ინდივიდუალური შრომა. კანონი, რა და როგორ?

**1 მაისიდან ძალაში შევიდა კანონი ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის შესახებ. ეხება თუ არა იგი ფიზკულტურისა და სპორტის სპეციალისტებს? რედაქცია მზადაა უპასუხოს თქვენს შეკითხვებს, მოგვწერეთ რა გაინტერესებთ, რა საკითხებზე გსურთ მიიღოთ განმარტება? ველით თქვენს წერილებს.**

## კოვში, მჭედლიშვილი...

**აპრილის** მიწურულს ლენინაბადში გაიმართა ველოსიპედისტთა საკავშირო შეჯიბრება, რომელშიც ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა უძლიერესი სპრინტერი ასპარეზობდა.

200 მეტრზე გიტში (სვლით) თბილისელმა ოთარ მჭედლიშვილმა II შედეგი აჩვენა — 10,83. პირველი ადგილი კი მოსკოველ ნიკოლოზ კოვშს ერგო — 10,81. კოვშმა სპრინტერთა შეჯიბრებაც მოიგო.

• • •



სურათზე: ოთარ მჭედლიშვილი ასპარეზობისას.

**1987 წლის 6 მაისს, 14 საათზე, საქართველოს პროფსაბჭოს სხდომათა დარბაზში (გრიბოედოვის ქ. 19) გაიმართება რესპუბლიკის პროფკავშირული ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების საბჭოების გაერთიანებული პლენუმი, რომელიც განიხილავს საკითხს: „პროფკავშირების ფიზკულტურულ კოლექტივებსა და სპორტულ კლუბებში მასობრივი ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობის გარდაქმნის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის (1987 წ.) პლენუმისა და სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ პროფკავშირების XVIII ყრილობების მოთხოვნათა მიხედვით".**

# მესამე ადგილზე

**ნიჩბოსნობა**

რამდენიმე დღის წინ გაუწყეთ, რომ ქართველი ნიჩბოსანი კახა ლომიშვილი ვერცხლის მედლით დაბრუნდა ოდესაში გამართულ ბაიდარელთა და კანოისტთა საკავშირო თასის გათამაშებიდან — იმ ეკიპაჟმა, რომლის წევრიც კახა იყო, ოთხადგილიანი ნავით 500 მეტრზე რბოლაში მეორე ადგილი დაიკავა.

ამინდის ჭირვეულობის გამო ოდესაში არ გამართულა შეჯიბრება 10 000 მეტრზე რბოლაში. ამ დისტანციაზე სპორტსმენებმა 3 მაისს მოსკოვში იასპარეზეს კრილატსკოეს ოლიმპიურ სანიჩბოსნო არხზე. იმ ოთხეულმა, რომელმაც ოდესაში 500 მეტრზე რბოლაში ვერცხლის მედალი მოიპოვა, ამჯერად მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა. ასე რომ, კახამ კიდევ ერთი საპატიო ჯილდო დაისაკუთრა.

პარალელურად გაიმართა მოსკოვის თასის ღია გათამაშებაც. ერთადგილიანი ნავით 500 მეტრზე რბოლაში ლომიშვილი ფინიშთან მეოთხე მივიდა. ორადგილიანი ნავებით 1000 და ოთხადგილიანებით 500 მეტრზე რბოლაში ასეთივე შედეგი აჩვენეს იმ ეკიპაჟებმა, რომლის წევრიც კახა იყო. თავი ისახელა ჩვენი რესპუბლიკის მეორე წარმომადგენელმა ედუარდ ქაშაკაშვილმაც — მან და მისმა მეწყვილემ მესამე ადგილი დაიკავეს ორადგილიან ნავებით 500 მეტრზე რბოლაში, ერთკილომეტრიანი დისტანციის ფინიშთან კი მეხუთენი აღმოჩნდნენ.

**XII ხუთწლედი — სკოლაზე საყოველთაო და სახალხო ზრუნვის ხუთწლედია**

# როცა ფაქტები კომენტარს არ საჭიროებს...

**როგორ** ვიყენებთ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სპორტულ ბაზებს, მეცადინეობენ თუ არა იქ სპორტულ-გამაჯანსაღებელი ჯგუფები, თავისუფალ დროს ეთმობა თუ არა ისინი სოფლის ახალგაზრდობას, მშრომელებს?

ამჯერად საუბარი გვექნება წითელწყაროს, სიღნაღისა და ლაგოდეხის რაიონებზე. ვნახოთ რა მდგომარეობაშია აქ სკოლის სპორტული ბაზები. განსაკუთრებით გვაინტერესებს როგორ გამოიყურება სპორტული დარბაზები და, აი, რატომ: სწავლის პროცესი წელიწადში რვა თვეს გრძელდება. აქედან ხუთი თვის განმავლობაში, უამინდობის გამო, ბავშვები დახურულ სპორტულ სარბიელზე უნდა ვარჯიშობდნენ, მაგრამ ასეთი სარბიელი სიღნაღის რაიონში 6 სკოლას არა აქვს. ეს იმას ნიშნავს, რომ ფიზკულტურის გაკვეთილი 2000-მდე მოსწავლეს მეტწილად უცდება.

ზემო ბოდბეს 8-წლიან სკოლაში ფიზკულტურის გაკვეთილები ხშირად სამასწავლებლოს მოზრდილ ოთახში ტარდება. ისიც, გაკვეთილზე ბავშვები ან ჭადრაკს თამაშობენ, ან მხატვრულ ლიტერატურას კითხულობენ.

ძველ, ორსართულიან შენობაში შეხიზნული ფოსტა, ბიბლიოთეკა, კლუბი, საბავშვო ბაღი, შემნახველი სალარო და... 8-წლიანი სკოლა (ორი წლის წინ ამბულატორიაც აქ იყო), ჩამავებული, ფანჯრებჩამსხვრეული შენობა მძიმე შთაბეჭდილებას ტოვებს. მისი ბინადარნი დიდ სივიწროვეს განიცდიან.

— ზემო და ქვემო ბოდბე ერთ კოლმეურნეობაშია გაერთიანებული. თავის დროზე ქვემო ბოდბე ზემო ბოდბედან ჩასული ხალხით შეივსო, — გვეუბნება სკოლის დირექტორი მაყვალა მაჭარაშვილი — ქვემო ბოდბეში სკოლაც ახალი და კეთილმოწყობილია, კლუბიც, საბავშვო ბაღიც, ჩვენ კი ასეთ გაჭირვებაში ვართ. ბავშვები რვაწლედის დამთავრების შემდეგ სწავლას ქვემო ბოდბეს საშუალო სკოლაში აგრძელებენ. ეს სკოლა ჩვენი სოფლიდან 6 კილომეტრითაა დაშორებული. ბავშვებს, რა თქმა უნდა, უჭირთ იქ სიარული, თანაც გზის მოზრდილი მონაკვეთი ტყეზე გადის, ტრანსპორტიც არ არის. საქმე ისეა, რომ თუ კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ჯუმბერ გოგინაშვილი) დროზე არ მოგვხედა და სკოლა არ აგვიშენა, სოფელი დაცარიელდება. ბოლო ხუთ წელიწადში, ოცდაათმა ახალგაზრდა ოჯახმა დატოვა ძველი ადგილი.

სოფელ ბოდბისხევში კოლმეურნეობა (თავმჯდომარე გაიოზ გელაშვილი) საკუთარი ძალებით კულტურის სახლს აშენებს. ვეება ნაგებობა, რომელიც რვა წელიწადია სოფლის შემოსავლის დიდ ნაწილს ნთქავს, ჯერ სანახევროდაც არ აშენებულა, საშუალო სკოლას კი, სადაც 523 ბავშვი სწავლობს, დარბაზი არა აქვს (სკოლას კოლმეურნეობა შეფობს). კოლმეურნეობის თავკაცებს სახსრები უფრო გამიზნულად რომ გამოეყენებინათ, სკოლისთვის დარბაზის მიშენებას (საამისოდ სკოლას საკმაო ფართობი აქვს) შეძლებდნენ. როგორც ჩანს, სოფლის ხელმძღვანელები სკოლის მოვლას მეორეხარისხოვან საქმედ თვლიან.

ლაგოდეხის მე-2 საშუალო სკოლას, სადაც 800 ბავშვი სწავლობს, დარბაზი კი არა, მარტივი ტიპის მოედნებიც არა აქვს (თუ არ ჩავთვლით კალათბურთის მოედანს). რაიონის 34 საშუალო და რვაწლიანი სკოლიდან ცხრამეტს არა აქვს სპორტული დარბაზი, არადა აქ 4542 ბავშვი სწავლობს. დახურულ სპორტულ სარბიელს ვინდა ჩივის, ბევრ სკოლაში მარტივი ტიპის მოედნებიც მოუწესრიგებელია.

წითელწყაროს რაიონში შედარებით უკეთესადაა საქმე. არხილოს საშუალო, მირზაანის და საბათლოს რვაწლიანი სკოლების გარდა ყველა სკოლაშია სპორტული დარბაზები. მაგრამ ისე, როგორც სიღნაღში და ლაგოდეხში, აქაც სპორტული ინვენტარის ნაკლებობას განიცდიან. გასახდელი ოთახები თითქმის ყველა სკოლაში მოუწესრიგებელია. ბევრი დარბაზი რემონტს საჭიროებს, ბევრიც არ თბება.

მიუხედავად იმისა, რომ ოცდაათზე მეტ სკოლას დღის მეორე ნახევარში ვეწვიეთ, სექციების მეცადინეობას ვერსად შევესწარით. მიზეზი უთუოდ ის გახლავთ, რომ სკოლებში, სადაც 300-400 მოსწავლეზე მეტი სწავლობს, ერთი ფიზკულტურის მასწავლებელია. ყოველდღე 4-5 გაკვეთილის ჩატარების შემდეგ მასწავლებელს რა ხალისი და ენერგია ექნება ბავშვებთან იმუშაოს? რაიონების ხელმძღვანელებს, საშეფო ორგანიზაციებს, სკოლების დირექტორებს მდგომარეობის გამოსასწორებლად უთუოდ დიდი შრომა დასჭირდებათ.

იქნებ არც ღირს იმაზე ლაპარაკი, როგორ ვიყენებთ სკოლის სპორტულ ბაზებს მოსახლეობაში გამაჯანსაღებელი მუშაობისათვის, თუკი თვით სკოლების სპორტული ცხოვრება მოდუნებულია, უღიმღამოდ გამოიყურება. როცა სპორტის მასობრიობაზე ვლაპარაკობთ, უნდა გვახსოვდეს, რომ სკოლებში თავმოყრილია მოზარდი-ახალგაზრდობის დიდი ნაწილი და თუ მათთან ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობას სათანადო დონეზე წარვმართავთ, თუ სკოლების სპორტულ მაჯისცემას გამოვაცოცხლებთ, მასობრიობის პრობლემა ამით სანახევროდ გადაჭრილი იქნება. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ სკოლაში მოზარდმა მტკიცედ გამოიმუშაოს სპორტული ჩვევები, ჭეშმარიტად ეზიაროს მის სიკეთეს, იმდენად, რომ მომავალშიც მისთვის სპორტი ცხოვრების პირობად, მოთხოვნილებად იქცეს.

სკოლის სპორტულ ბაზებს კარგად იყენებენ სოფელ არბოშიკში (აქ ბავშვებს ჭიდაობას ასწავლის ენთუზიასტი ვაჟა გონაშვილი. აქვე უნდა ითქვას, რომ წითელწყაროს მე-15 მოძრავ-მექანიზებული კოლონა — უფროსი გელა ხუციშვილი — 25-მეტრიანი სასროლო სტენდის მშენებლობას აჭიანურებს), სამთაწყაროში (სოფლის ახალგაზრდებთან ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობას სკოლის მასწავლებელი გურამ ტარტარაშვილი ხელმძღვანელობს), ქვემო ბოდბეში (მოჭიდავეებს, კალათბურთელებს, ფეხბურთელებს სპორტის ინსტრუქტორი ვასილ მაჭარაშვილი ავარჯიშებს), ლაგოდეხის პირველ, მე-3 და ლელიანის საშუალო სკოლაში (მის ბაზაზე ლაგოდეხის კომპლექსური სპორტული სკოლის ჯგუფები ვარჯიშობენ).

სამ რაიონში ოფიციალურად ორი გამაჯანსაღებელი ჯგუფია — ლაგოდეხის პირველ და წითელწყაროს პირველ სკოლაში. ეს არის და ეს. ვფიქრობთ, ფაქტი კომენტარს არ საჭიროებს.

**ალექსანდრე პაპოშვილი.**
„ლელოს" საკ. კორ.
სიღნაღი. ლაგოდეხი. წითელწყარო.

# საქართველოს სპორტსახკომში

მასობრივი ფეხბურთის განვითარების სწორმა ორგანიზაციამ, მწვრთნელთა კადრების პასუხისმგებლობის ამაღლებამ და საფეხბურთო სპორტული ბაზების ქსელის გაფართოება-განმტკიცებამ ჩვენს ფეხბურთში სასურველ გარდაქმნამდე უნდა მიგვიყვანოს. რადიკალური ღონისძიებები, რომლებიც უკვე არ შეიძლებოდა არ გატარებულიყო, საბოლოოდ უთუოდ სასიკეთოდ შემოაბრუნებს საქმეს. ახლა დღის წესრიგში დგება რესპუბლიკის ცალკეულ რეგიონებში მდგომარეობის შესწავლა-ანალიზის საკითხი.

კოლეგიის მორიგ სხდომაზე იმსჯელეს ბორჯომის რაიონში მასობრივი ფეხბურთის განვითარების შესახებ. სტატისტიკა, ითქვა კოლეგიის სხდომაზე, მოჩვენებითი კეთილდღეობის ილუზიას ქმნის, რაიონის 44 ფიზკულტურული კოლექტივიდან, ოფიციალური მონაცემებით, ფეხბურთი დანერგილია 42-ში, სექციებში 1218 მომეცადინეა გაერთიანებული. ეს ციფრები ძნელი სარწმუნოა, როცა ბავშვთა სექციებისა და გუნდების სამეცადინო პირობები ვერ უპასუხებს თანამედროვე მოთხოვნებს, აკლიათ კვალიფიციური მწვრთნელები, 11 ფეხბურთის მოედნიდან კი მხოლოდ სამია სტანდარტული.

კოლეგია არ დაეთანხმა წარმოდგენილ შეფასებას, დამაკმაყოფილებლად ჩათვალა ბორჯომის რაიონში მასობრივი ფეხბურთისადმი დამოკიდებულება და არა გაწეული მუშაობა.

ახლოვდება სპორტული სკოლების აღსაზრდელთა პირველი საკავშირო თამაშები, რომელსაც, როგორც ცნობილია, ჩვენი რესპუბლიკა უმასპინძლებს. თამაშებისთვის საქართველოს მაგიდის ჩოგბურთელთა მზადებისა და სავარაუდოდ დაგეგმილი შედეგების განხილვისას კოლეგიამ აღნიშნა, რომ სპორტის ამ სახეობაში ჯერ კიდევ არ გაგვაჩნია მყარი პოზიციები, მაგრამ პერსპექტიულ ახალგაზრდებთან სისტემატური მუშაობის შედეგად წელსვე უნდა გადავდგათ ნაბიჯები უკეთესობისკენ. იმისათვის, რომ მაგიდის ჩოგბურთს ბევრი დაუმეგობრდეს, საგანგებო არაფერია საჭირო, მასშტაბურად უნდა გაიშალოს მუშაობა, მაქსიმალურად გამოვიყენოთ მასობრიობის მიღწევის ყველა შესაძლებლობა. დაისვა საკითხი იმის შესახებ, რომ საქართველოს პირველობა ჩატარდეს უფრო [illegible] სისტემით — [illegible].

განიხილეს აგრეთვე თამაშებისთვის [illegible] სხვადასხვა სახეობებში საქართველოს ნაკრები გუნდების მზადების საკითხი. გაწეული მუშაობა ჩაითვალა დამაკმაყოფილებლად.

საერთაშორისო კლასის და სსრ კავშირის სპორტის ოსტატების მომზადებისა, საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებში რესპუბლიკის სპორტსმენთა მონაწილეობის შედეგებს სისტემატურად განიხილავენ კოლეგიის სხდომაზე. წლეულს აპრილის ბოლო კვირამდე მიღწეული შედეგები კოლეგიამ არადამაკმაყოფილებლად ჩათვალა. სპორტული საზოგადოებებისა და უმაღლესი სპორტული დაოსტატების სპორტული სკოლების ხელმძღვანელები მკაცრად გააფრთხილეს, რომ ისინი პერსონალურად აგებენ პასუხს უმაღლესი სპორტული შედეგების გეგმის შეუსრულებლობისათვის.

საქართველო ინტერნაციონალური რესპუბლიკაა. აქ მცხოვრები ყველა ხალხის კულტურისა და ხელოვნების განვითარებას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. კოლეგიამ მიიღო დადგენილება „საქართველოში ქურთ მოსახლეობას შორის ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტულ-მასობრივი მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ". აღინიშნა, რომ ხუთასზე მეტი ქურთი გაერთიანებულია სპორტულ სექციებში, ხუთი ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტია, ოთხი სპორტსმენი საქართველოს ნაკრები გუნდის წევრია. რამდენიმე სპეციალისტი ხელმძღვანელ სპორტულ ორგანიზაციაში და სასწავლებელში მუშაობს. კოლეგიამ ამ საკითხთან დაკავშირებით დაამტკიცა კონკრეტულ ღონისძიებათა გეგმა.

მოისმინეს საქართველოს ფიზკულტურის ტექნიკუმში რვაკლასდამთავრებულ კონტინგენტთან მუშაობის თაობაზე კოლეგიის ჭიერ ადრე მიღებული დადგენილების შესრულების მიმდინარეობა.

კოლეგიაზე დაამტკიცეს: საპატიო წოდებათა მინიჭების საკითხების განხილვის კომისიის ახალი შემადგენლობა; ნიჩბოსნობაში მწვრთნელთა ატესტაციის გრაფიკი; სახელმწიფო მიღების გრაფიკი... განიხილეს აგრეთვე სხვა საკითხები.



პროფკავშირთა საბჭოს გაგრის საკურორტო კლიმატურ-ბალნეოლოგიურ აღდგენით სანატორიუმში ბევრი სამკურნალო კაბინეტ-ლაბორატორიაა, არის სპეციალური დარბაზიც, სადაც სისტემატურად ტარდება მეცადინეობა სამკურნალო ფიზკულტურაში.

სურათზე: მედდა ნონა დიხამინჯია დამსვენებლებთან მუშაობისას.
ვლადიმერ გოგაძის ფოტო.

# ქუთაისელი რეგბისტი შეუდარებელი იყო

**ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 29 აპრილი. 15 000 მაყურებელი.**

**სსრ კავშირი — ტუნისი. „ლელოს" წინა ნომერში გაუწყეთ, რომ ეს შეხვედრა ჩვენი ქვეყნის ნაკრებმა მოიგო — 9:6 (3:3). დღეს ვრცელ ანგარიშს გთავაზობთ.**

**სსრ კავშირი:** ძაგნიძე; ვოროპაევი, პარშინი, ნეჩაევი, ბორისოვი; სლიუსარი, ფრანცუზოვი; მედვედი, ტურძელაძე (სამარდინი, 58), ლილუაშვილი, სოკოლოვი, მიშაკოვი, ტკაჩენკო, ტიხონოვი, ვალიალშჩიკოვი.

**ტუნისი:** ბუგამნი; ჟემოი, ხ. ბენ-შეიხი, მაგტოიფი, ხატული; ბუდუხანი, ბენ-მანსური; თერჟანი, ხოდი-კასენი, მაკნი, ხარუე, ხოლთოლა, ა. ბენ-შეიხი, ჟერდი, უალი.

მსაჯი ჯოვანი კამპანილე (იტალია).

**გოლები: სსრ კავშირი — 3 საჯარიმო (12, 45, 74, ძაგნიძე), ტუნისი — 2 საჯარიმო (16, 51, ბუგამნი).**

ამ შეხვედრის შედეგს პრინციპული მნიშვნელობა მხოლოდ საბჭოთა კავშირის ნაკრებისთვის ჰქონდა. რუმინელებთან დამარცხების შემდეგ დარჩენილ ორ შეხვედრაში საბჭოთა რეგბისტებს 6 შესაძლებლიდან 5 ქულა მაინც უნდა მოეგროვებინათ, რომ შარშანწინდელი მიღწევა გაემეორებინათ და ზედიზედ მეორედ მოეპოვებინათ ფირა-ს ჩემპიონატის ვერცხლის მედლები. ამიტომ ტუნისელებთან ან უნდა მოეგოთ, ან ფრედ დაემთავრებინათ შეხვედრა. მათი დამარცხების შემთხვევაში მეორე ადგილზე ვადაზე ადრე გავიდოდა რუმინელთა გუნდი. ამიტომ იყო, ქვეყნის ნაკრები გულდაგულ რომ ემზადებოდა ამ პრინციპული ბრძოლისათვის. გუნდის შემადგენლობა გადახალისდა.



ნუგზარ ძაგნიძე.

იხ. მე-4 გვ.

## „სპორტპროგნოზის" შედეგები

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები „სპორტპროგნოზის" მე-16 ტირაჟისა, რომელიც 1987 წლის 18-20 აპრილს გაიმართა.

ტირაჟში დაიშვა 7.778.479 ვარიანტი. 13 შედეგის ამოცნობისთვის (241) მოგებამ 500 მანეთი შეადგინა, 12 შედეგის ამოცნობისთვის (10.242) — 28 მანეთი, 11 შედეგის ამოცნობისთვის კი (126.575) — 6 მანეთი.

მე-16 ტირაჟის მოგებათა განაღდება იწარმოებს 1987 წლის 12 მაისიდან 12 ივნისამდე.




**მსოფლიო ჩემპიონატი ჰოკეიში**

# ამჯერად მეორე

**ჰოკეისტთა** მსოფლიო ჩემპიონატის ბოლო დღეს ორი მატჩი გაიმართა. შვედებმა დიდი ანგარიშით (9:0) მოუგეს კანადელებს, საბჭოთა კავშირის ნაკრებმა კი ჩეხოსლოვაკიის გუნდი დაამარცხა — 2:1. შვეციის ეროვნულმა ნაკრებმა 25 წლის შესვენების შემდეგ მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

ჩვენს გუნდს ბოლო შეხვედრის წინ ოქროს მედლების მოპოვების თეორიული შანსი ჰქონდა მხოლოდ. თეორიული იმიტომ ვამბობთ, რომ წარმატების მისაღწევად მას ჩეხოსლოვაკიის ნაკრები სულ ცოტა 9 შაიბის სხვაობით უნდა დაემარცხებინა. ანგარიში ამ შეხვედრაში ჩეხებმა გახსნეს 52-ე წუთზე. მერე საბჭოთა ჰოკეისტებმა გამოიყენეს რიცხობრივი უპირატესობა და კრუტოვმა გაათანაბრა ანგარიში — 1:1. გამარჯვების გოლი ამ მატჩში სტელნოვმა გაიტანა, რამაც ჩვენს გუნდს, საბოლოოდ, ვერცხლის მედლები მოუტანა. ბრინჯაოს ჯილდო ჩეხებს ერგოთ. კანადის ნაკრები კი მეოთხე ადგილზე დარჩა.

შვეციის ჰოკეისტთა თამაშს სპეციალისტებმა მაღალი შეფასება მისცეს, მაგრამ ანგარიშგასაწევია ის ფაქტი, რომ ნხლ-ის ლიგაში მოთამაშე ოცი ჰოკეისტიდან ევროპაში ჩამოსვლა მოახერხა მხოლოდ სამმა. 1989 წელს მსოფლიო ჩემპიონატი, როგორც ცნობილია, შვეციაში ჩატარდება, იქ კი მასპინძლების დამარცხება ერთი-ორად უფრო ძნელი იქნება. მით უფრო, რომ მთავრობამ 30 მილიონი კრონი გამოჰყო, რათა შვეციელ ჰოკეისტებს კანადაში წასვლა გადაათქმევინოს.

საბჭოთა ნაკრებმა სუსტად ჩაატარა ჩემპიონატის დასკვნითი ნაწილი: ორი შეხვედრა კანადასთან (0:0) და შვეციასთან (2:2) ფრედ დაამთავრა, დაამარცხა მხოლოდ ჩეხოსლოვაკია და საბოლოოდ მეორე ადგილზე გავიდა.

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ ჟურნალისტებმა შეადგინეს მსოფლიოს სიმბოლური ნაკრები, რომელშიც შევიდნენ: ჰაშეკი (ჩეხოსლოვაკია), კისლინგი (გფრ), ფეტისოვი, მაკაროვი (ორივე — სსრ კავშირი), ტრუნჩკა (გფრ) და კრუტოვი (სსრ კავშირი).

ფეხბურთი

სსრ კავშირის ჩემპიონატი

50

2 მაისს გაიმართა უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის VIII ტურის მატჩები.

**საქართველოს გუნდები სტუმრად გამოდიოდნენ: თბილისის „დინამო“ მინსკში, ხოლო ლანჩხუთის „გურია“ — ვილნიუსში.**

**მინსკის** მატჩში პირველი ტაიმი თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა, რამდენადმე მაინც ხელშესახები უპირატესობა არც ერთ მხარეს არა ჰქონია, ორივე გუნდი უმეტესად შუა მინდორში მოქმედებდა, სახიფათო მომენტებიც ნაკლებად იქმნებოდა, ბურთის გატანის კარგი შესაძლებლობა ჰქონდათ მხოლოდ მინსკელ ალეინიკოვს და თბილისელ გურულს.

შესვენების შემდეგ ტერიტორიულ უპირატესობას თანდათან, მეთოდურად მასპინძლები დაეუფლნენ: თბილისელები გაძლიერებული ძალებით იგერიებდნენ მეტოქის იერიშებს და მხოლოდ იშვიათი კონტრშეტევებით თუ პასუხობდნენ, თუმცა, ამ მომენტებშიც შეეძლოთ წარმატების მოპოვება: ერთ-ერთი ასეთი მანევრის დროს ჟორდანია ოდნავ ვერ მიწვდა ბურთს, მატჩის დასასრულს კი რევიშვილმა ვერ გამოიყენა საუკეთესო მდგომარეობა.

შუა ტაიმში მინსკელები ხანგრძლივ შეტევაზე გადავიდნენ, სტუმრები თითქმის მთელი შემადგენლობით იცავდნენ თავს, შეტევის ხაზზე იშვიათად, მხოლოდ ინდივიდუალური გარღვევის შედეგად თუ გავიდოდა ვინმე. მინსკელთა ერთ-ერთი იერიშის დროს გოცმანოვმა ძელს მოახვედრა ბურთი, მაგრამ ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ მასპინძლებმა ვერ გამოიყენეს თავიანთი ეს მნიშვნელოვანი ტერიტორიული უპირატესობა და ფრეს დასჯერდნენ—0:0.

მეტოქეებმა ეს მატჩი ასეთი შემადგენლობებით ჩაატარეს: **მინსკი — საცუნკევიჩი, ბოროვსკი, ტრუხანი, იანუშევსკი, სოკოლი, ზიგმანტოვიჩი, გოცმანოვი, კისტენი, ალეინიკოვი, შალიმო (გომანოვი, 79), კონდრატიევი. თბილისი — გაბელია, სვანაძე, ჩივაძე, ჭედია, ცვეიბა, რევიშვილი (მალანია, 86), ჟორდანია, სულაქველიძე, ცაავა (კორღალიძე, 81), კაკილაშვილი, გურული. მსაჯი ვ. ბუტენკო (მოსკოვი). დუბლიორები — 3:1, თბილისელთაგან ბურთი ფანცულაიამ გაიტანა.**

**ძნელი** ბრძოლა გადახდა ვილნიუსში ლანჩხუთის „გურიას“. „ჟალგირისი“ წლევანდელ ჩემპიონატში ძლიერად თამაშობს, კარგი სატურნირო მდგომარეობაც აქვს, ამიტომ ქულა, რომელიც უმაღლესი ლიგის დებიუტანტმა მოიპოვა ვილნიუსში, უდავოდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს. ლანჩხუთელებმა თავიდანვე საფუძვლიანად გაამაგრეს დაცვის რიგები, შეუპოვრად ითამაშეს შუა მინდორში, იშვიათი იერიშების დროს კი სწრაფად გაჰყავდათ წინა ხაზზე ხან ხლუსი, ხან მეგრელაძე. ერთ-ერთი ასეთი კონტრშეტევის დროს, 36-ე წუთზე, მეტოქე მცველებთან ბრძოლის შემდეგ მეტად ხელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდა მეგრელაძე. მაგრამ იჩქარა და კარს ააცილა დარტყმა.

მეორე ტაიმში ვილნიუსელი ფეხბურთელები ბევრს ეცადნენ, სრული დატვირთვით მოქმედებდნენ „გურიის“ დაცვა და მეკარე იმნაძე, მაგრამ ამ დროსაც ზუსტად გამეორდა პირველი ტაიმის სიტუაცია: თამაში დასასრულს უახლოვდებოდა, როცა ფრიდონაშვილს ბურთის გატანის საუკეთესო შესაძლებლობა მიეცა და ეს მომენტიც გამოუყენებელი დარჩა, ბურთი ოდნავ აცდა მიზანს. ფრე — 0:0.

მეტოქეთა შემადგენლობანი: **„ჟალგირისი“ — იურკუსი, იაკუბაუსკასი, სუკრისტოვი, მაჟეიკისი, იანონისი, პანკრატიევი (ბუზმაკოვი, 67), ბარანაუსკასი, ივანაუსკასი, რუზგისი, რასიუკასი (ბილიუნასი, 84), ნარბეკოვასი; „გურია“ — იმნაძე, მიქაბერიძე, მახარაძე, ე. თევზაძე, არზიანი, ხლუსი, დანელია, ტყებუჩავა (მ. თევზაძე, 65), ჩხაიძე, ფრიდონაშვილი, მეგრელაძე. მსაჯი კ. დორონინი (მოსკოვი), გააფრთხილეს არზიანი. დუბლიორები — 0:0.**

VIII ტურის სხვა შეხვედრათა შედეგები: „ქაირათი“ (ალმა-ათა) — „ნეფთჩი“ (ბაქო) 3:1, „ზენიტი“ — „არარატი“ 0:0, „დინამო“ (კიევი) — ცსკა 1:2, „სპარტაკი“ (მოსკოვი) — „დინამო“ (მოსკოვი) 1:1, „მეტალისტი“ (ხარკოვი) — „შახტიორი“ (დონეცკი) 1:0, „ტორპედო“ (მოსკოვი) — „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) 1:0.

მომდევნო, IX ტურის მატჩებს საქართველოს გუნდები კვლავ მეტოქეთა მინდვრებზე გამართავენ. თბილისის „დინამო“ 10 მაისს ბაქოში შეხვდება „ნეფთჩის“, ხოლო ლანჩხუთის „გურია“ — ერევანში „არარატს“.

**გათამაშების ცხრილი ● ძირითადი შემადგენლობანი**

**მდგომარეობა 5 მაისისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. „სპარტაკი“ (მოსკოვი) | 8 | 6 | 2 | 0 | 17-5 | 14 | (—2) |
| 2. „ტორპედო“ (მოსკოვი) | 8 | 5 | 2 | 1 | 8-3 | 12 | (—4) |
| 3. „მეტალისტი“ (ხარკოვი) | 8 | 4 | 2 | 2 | 8-7 | 10 | (—6) |
| 4. „დინამო“ (მინსკი) | 8 | 3 | 4 | 1 | 7-3 | 10 | (—6) |
| 5. ცსკა | 8 | 4 | 1 | 3 | 11-9 | 9 | (—7) |
| 6. „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) | 8 | 3 | 3 | 2 | 10-8 | 9 | (—7) |
| 7. „არარატი“ (ერევანი) | 8 | 3 | 1 | 4 | 5-13 | 7 | (—9) |
| 8. „დინამო“ (მოსკოვი) | 7 | 2 | 3 | 2 | 6-7 | 7 | (—7) |
| 9. „ზენიტი“ (ლენინგრადი) | 8 | 1 | 5 | 2 | 5-10 | 7 | (—9) |
| 10. „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) | 8 | 2 | 2 | 4 | 9-10 | 6 | (—10) |
| 11. „შახტიორი“ (დონეცკი) | 7 | 1 | 4 | 2 | 5-6 | 6 | (—8) |
| 12. „ქაირათი“ (ალმა-ათა) | 8 | 2 | 1 | 5 | 4-10 | 5 | (—11) |
| 13. „გურია“ (ლანჩხუთი) | 7 | 1 | 3 | 3 | 3-7 | 5 | (—9) |
| 14. „ნეფთჩი“ (ბაქო) | 8 | 1 | 3 | 4 | 6-12 | 5 | (—11) |
| 15. „დინამო“ (კიევი) | 4 | 2 | 0 | 2 | 11-5 | 4 | (—4) |
| 16. „დინამო“ (თბილისი) | 7 | 1 | 2 | 4 | 6-9 | 4 | (—10) |

I ლიგა

**30 აპრილს შედგა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების VII ტურის შეხვედრები.**

დუშანბეს „პამირმა“ თავის მინდორზე მიიღო ბათუმის „დინამო“, თამაში დამთავრდა ფრედ—1:1.

მატჩი ტაშკენტში ადგილობრივ „ფახთაქორსა“ და ქუთაისის „ტორპედოს“ შორის მოიგეს ტაშკენტელმა ფეხბურთელებმა — 1:0.

სხვა მატჩები: „ჩერნომორეცი“ (ოდესა) — „როსტსელმაში“ (დონის როსტოვი) 2:0, ასკ „კარპატი“ (ლვოვი)— „დინამო“ (სტავროპოლი) 0:0, „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) — „კოლოსი“ (ნიკოპოლი) 0:2, „გეოლოგი“ (ტიუმენი) — „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) 1:1, „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „ფაკელი“ (ვორონეჟი) 2:1, „კუზბასი“ (კემეროვო) — „როტორი“ (ვოლგოგრადი) 1:0, ასკ (დონის როსტოვი) — „კოტაიკი“ (აბოვიანი) 1:0, „ზარია“ (ვოროშილოვგრადი) — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) 2:1.

მომდევნო, VIII ტურში, რომელიც 3 მაისს გაიმართა, ორივე ჩვენმა გუნდმა მარცხი იწვნია: ბათუმის დინამოელებმა ტაშკენტში წააგეს „ფახთაქორთან“ — 0:2, ხოლო ქუთაისის ტორპედოელებმა დუშანბეში „პამირთან“ — 0:3.

ტურის სხვა შეხვედრათა შედეგები: „ჩერნომორეცი“ (ოდესა) — „დინამო“ (სტავროპოლი) 4:0, „დაუგავა“ (რიგა) — „შინიკი“ (იაროსლავლი) 1:0, ასკ „კარპატი“ (ლვოვი) — „როსტსელმაში“ (დონის როსტოვი) 1:2, „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) — „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) 0:1, „გეოლოგი“ (ტიუმენი) — „კოლოსი“ (ნიკოპოლი) 2:1, „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „როტორი“ (ვოლგოგრადი) 3:0, „კუზბასი“ (კემეროვო) — „ფაკელი“ (ვორონეჟი) 3:0, ასკ (დონის როსტოვი)—„სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) 2:0, „ზარია“ (ვოროშილოვგრადი) — „კოტაიკი“ (აბოვიანი) 1:0.

**გათამაშების ცხრილი**

**მდგომარეობა 5 მაისისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ჩერნომორეცი“ | 8 | 8 | 0 | 0 | 17-2 | 16 |
| „ლოკომოტივი“ | 8 | 5 | 3 | 0 | 13-4 | 13 |
| „კუზბასი“ | 8 | 5 | 2 | 1 | 10-2 | 12 |
| „გეოლოგი“ | 8 | 4 | 3 | 1 | 9-4 | 11 |
| „კოლოსი“ | 9 | 5 | 0 | 4 | 12-8 | 10 |
| „დაუგავა“ | 7 | 4 | 1 | 2 | 10-7 | 9 |
| „ფახთაქორი“ | 7 | 4 | 1 | 2 | 8-5 | 9 |
| „შინიკი“ | 7 | 4 | 1 | 2 | 5-4 | 9 |
| „პამირი“ | 7 | 3 | 2 | 2 | 9-6 | 8 |
| „მეტალურგი“ | 8 | 3 | 2 | 3 | 10-10 | 8 |
| „ზარია“ | 8 | 3 | 2 | 3 | 7-9 | 8 |
| „როსტსელმაში“ | 7 | 3 | 1 | 3 | 10-8 | 7 |
| „კოტაიკი“ | 8 | 3 | 1 | 4 | 9-11 | 7 |
| „კრ. სოვეტოვი“ | 8 | 2 | 3 | 3 | 6-5 | 7 |
| ასკ რ. | 7 | 2 | 2 | 3 | 4-6 | 6 |
| „სპარტაკი“ | 8 | 2 | 2 | 4 | 4-7 | 6 |
| ასკ „კარპატი“ | 8 | 1 | 4 | 3 | 5-8 | 6 |
| „დინამო“ სტ. | 7 | 1 | 3 | 3 | 4-11 | 5 |
| „დინამო“ ბ. | 8 | 1 | 2 | 5 | 3-10 | 4 |
| „ტორპედო“ ქ. | 8 | 1 | 2 | 5 | 1-11 | 4 |
| „ფაკელი“ | 8 | 0 | 3 | 5 | 3-11 | 3 |
| „როტორი“ | 8 | 1 | 0 | 7 | 4-14 | 2 |

II ლიგა

2 მაისს შედგა II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების V ტურის მატჩები. მოგვყავს მათი ტექნიკური შედეგები: „ქიაფაზი“ (კიროვაბადი)— „ვოსხოდი“ (სუმგაითი) 2:1, „ყარაბახი“ (სტეფანაკერტი) — „კოლხოზჩი“ (აშხაბადი) 0:0, „შევარდენი“-სპი (თბილისი) — „მეტალურგი“ (რუსთავი) 1:0, „დილა“ (გორი) — „ლორი“ (კიროვაკანი) 2:0, „მეშახტე“ (ტყიბული) — „კოლხეთი“ (ფოთი) 1:1, „ლოკომოტივი“ (სამტრედია) — „დინამო“ (სოხუმი) 0:0, „ავტომობილისტი“ (მინგეჩაური) — „ოლიმპია“ (ლენინაკანი) 2:1, „გოიაზანი“ (ყაზახი) — „სპარტაკი“ (ოქტემბერიანი) 1:1.

**გათამაშების ცხრილი**

**II ლიგა, IX ზონა**

**მდგომარეობა 5 მაისისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ქიაფაზი“ | 5 | 4 | 1 | 0 | 9-5 | 9 |
| „ლოკომოტივი“ | 5 | 3 | 2 | 0 | 5-1 | 8 |
| „კოლხეთი“ | 5 | 2 | 3 | 0 | 6-4 | 7 |
| „დილა“ | 4 | 2 | 2 | 0 | 6-2 | 6 |
| „ყარაბახი“ | 5 | 2 | 1 | 2 | 8-3 | 5 |
| „შევარ.“-სპი | 4 | 2 | 1 | 1 | 6-5 | 5 |
| „ვოსხოდი“ | 5 | 2 | 1 | 2 | 5-4 | 5 |
| „ავტომობილ.“ | 5 | 2 | 1 | 2 | 6-6 | 5 |
| „ოლიმპია“ | 5 | 2 | 0 | 3 | 5-7 | 4 |
| „კოლხოზჩი“ | 5 | 1 | 2 | 2 | 6-5 | 4 |
| „დინამო“ | 5 | 1 | 2 | 2 | 5-6 | 4 |
| „გოიაზანი“ | 5 | 1 | 2 | 2 | 3-7 | 4 |
| „სპარტაკი“ | 5 | 1 | 2 | 2 | 5-10 | 4 |
| „მეტალურგი“ | 5 | 1 | 1 | 3 | 3-5 | 3 |
| „ლორი“ | 5 | 1 | 0 | 4 | 1-7 | 2 |
| „მეშახტე“ | 3 | 0 | 1 | 2 | 2-4 | 1 |

საქართველოს პირველობა

**1 მაისს გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის X ტურის მატჩები I ჯგუფის გუნდებს შორის:**

„მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „სპარტაკი“ (ცხინვალი) 0:3, „ქართლი“ (გორის რ-ნი) — „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) 0:2, „სქური“ (წალენჯიხა) — „იმერეთი“ (ქუთაისი) 5:1, „მადნეული“ (ბოლნისი) — ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თბილისი) 1:0, „მერცხალი“ (მახარაძე) — „ივერია“ (ხაშური) 0:0, „სალხინო (გეგეჭკორი) — „კოლხეთი“ (ხობი) 1:1, „დურუჯი“ (ყვარელი) — „ამირანი“ (ოჩამჩირე) 0:1, „დინამო“ (ზუგდიდი) — „ეგრისი“ (ცხაკაია) 2:0, „კახეთი“ (თელავი) — „დინამო“ (გაგრა) 4:1, „სულორი“ (ვანი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 1:0, „საპოვნელა“ (თერჯოლა) — „არმაზი“ (მცხეთა) 3:1.

3 მაისს შედგა შემდგომი, XI ტურის შეხვედრები:

„მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „ქართლი“ (გორის რ-ნი) 2:1, „სქური“ (წალენჯიხა) — „სპარტაკი“ (ცხინვალი) 1:0, „მადნეული“ (ბოლნისი) — „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) 1:1, „მერცხალი“ (მახარაძე) — „იმერეთი“ (ქუთაისი) 1:0, „შადრევანი“ (წყალტუბო) — ახ. საფ. სკ. (თბილისი) 2:0, „სალხინო“ (გეგეჭკორი) — „ივერია“ (ხაშური) 2:0, „დინამო“ (ზუგდიდი) — „კოლხეთი“ (ხობი) 2:0, „კახეთი“ (თელავი) — „ამირანი“ (ოჩამჩირე) 3:1, „სულორი“ (ვანი)—„ეგრისი“ (ცხაკაია) 2:1, „საპოვნელა“ (თერჯოლა) — „დინამო“ (გაგრა) 2:2, „არმაზი“ (მცხეთა) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 1:2.

# ევროპის ჩემპიონატი

29 აპრილს შედგა ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები საკვალიფიკაციო ჯგუფებში.

I ჯგუფი

**ბუქარესტი.** აქ ერთმანეთს შეხვდნენ რუმინეთისა და ესპანეთის გუნდები. ესპანელებს პირველი სამივე შეხვედრა მოგებული ჰქონდათ, ამჯერად კი რუმინელებმა შეძლეს დაემარცხებინათ ძლიერი მეტოქე, რის შემდეგ თვით ჩაიგდეს ხელთ ლიდერობა.

თამაშის ბედი არსებითად პირველ 7 წუთში გადაწყდა, როცა პეტრუკამ, მატეუტმა და უნგურიანუმ ზედიზედ 3 ბურთი გაიტანეს სტუმართა კარში. ესპანელებმა მხოლოდ ერთი საპრესტიჟო გოლის გატანა შეძლეს (კალდერე).

**ტირანა.** ალბანეთისა და ავსტრიის გუნდების შეხვედრაში ავსტრიელებმა ძნელ გამარჯვებას მიაღწიეს — 1:0. ბურთი გაიტანა პოლსტერმა.

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუმინეთი | 4 | 3 | 0 | 1 | 12-3 | 6 |
| ესპანეთი | 4 | 3 | 0 | 1 | 7-6 | 6 |
| ავსტრია | 4 | 2 | 0 | 2 | 6-7 | 4 |
| ალბანეთი | 4 | 0 | 0 | 4 | 2-11 | 0 |

IV ჯგუფი

**იზმირი.** თურქეთის ნაკრები ბოლო ხანებამდე ერთობ სუსტად თამაშობდა, მაგრამ ახლა შესამჩნევად გამოასწორა მდგომარეობა და ინგლისის ნაკრებთან შინ, ფრედ დაამთავრა შეხვედრა — 0:0. ინგლისელთა მწვრთნელმა ბ. რობსონმა საგანგებოდ გაუსვა ხაზი თურქ ფეხბურთელთა მაღალ ბრძოლისუნარიანობას.

**ბელფასტი.** ჩრდილოეთ ირლანდიის დედაქალაქში მეტად მნიშვნელოვან გამარჯვებას მიაღწიეს იუგოსლაველმა ფეხბურთელებმა, რომლებმაც აქაურ ნაკრებთან შეხვედრაში გაიმარჯვეს ანგარიშით 2:1. დაწინაურდნენ მასპინძლები (კლარკი), შემდეგ სტოიკოვიჩმა გაათანაბრა ანგარიში, ზ. ვუიოვიჩმა კი გადამწყვეტი ბურთი გაიტანა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინგლისი | 4 | 3 | 1 | 0 | 7-0 | 7 |
| იუგოსლავია | 3 | 2 | 0 | 1 | 6-3 | 4 |
| თურქეთი | 3 | 0 | 2 | 1 | 0-4 | 2 |
| ჩრ. ირლანდია | 4 | 0 | 1 | 3 | 1-7 | 1 |

V ჯგუფი

**როტერდამი.** ჰოლანდიისა და უნგრეთის გუნდების შეხვედრაში მასპინძელთა უპირატესობა აშკარა იყო, ისინი ბევრს უტევდნენ, გამარჯვებაც მათ დარჩათ — 2:0. ბურთები გაიტანეს გულიტმა და მორენმა.

**ათენი.** საბერძნეთის ნაკრებმა ახალ წარმატებას მიაღწია, ამჯერად დაამარცხა პოლონეთის ნაკრები — 1:0. ბურთი გაიტანა სარავაკოსმა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საბერძნეთი | 6 | 4 | 1 | 1 | 12-7 | 9 |
| ჰოლანდია | 5 | 3 | 2 | 0 | 6-1 | 8 |
| პოლონეთი | 4 | 1 | 2 | 1 | 2-2 | 4 |
| უნგრეთი | 4 | 1 | 0 | 3 | 1-5 | 2 |
| კიპროსი | 5 | 0 | 1 | 4 | 3-10 | 1 |

VI ჯგუფი

**ჰელსინკი.** ფინეთის ნაკრებმა დაძაბული ბრძოლის შემდეგ მინიმალური ანგარიშით წააგო დანიის ნაკრებთან — 0:1, ერთადერთი ბურთი საჯარიმო დარტყმით გაიტანა მოლგიუმ.

**რექსჰემი.** 1:1 — ასეთი ანგარიშით დამთავრდა უელსისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდების შეხვედრა. დაწინაურდნენ სტუმრები (კნოფლიჩეკი). მატჩის დამთავრებამდე 8 წუთით ადრე უელსელთა საუკეთესო თავდამსხმელმა რაშმა ანგარიში გაათანაბრა — 1:1.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დანია | 3 | 2 | 1 | 0 | 2-0 | 5 |
| უელსი | 3 | 1 | 2 | 0 | 6-2 | 4 |
| ჩეხოსლოვაკია | 3 | 1 | 2 | 0 | 4-1 | 4 |
| ფინეთი | 5 | 0 | 1 | 4 | 1-10 | 1 |

VII ჯგუფი

**დუბლინი.** ირლანდიისა და ბელგიის გუნდების შეხვედრაში წარმატებას ვერც ერთმა მხარემ ვერ მიაღწია — 0:0.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბელგია | 5 | 2 | 3 | 0 | 13-4 | 7 |
| ირლანდია | 5 | 1 | 3 | 1 | 4-4 | 5 |
| ბულგარეთი | 3 | 1 | 2 | 0 | 3-2 | 4 |
| შოტლანდია | 5 | 1 | 2 | 2 | 4-5 | 4 |
| ლუქსემბურგი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-9 | 0 |

## 1992 წლამდე

უეფა-მ განიხილა ინციდენტი, რომელიც ევროპის ჩემპიონთა თასის ნახევარფინალური მატჩის მონაწილე მიუნხენის „ბაიერნსა“ და მადრიდის „რეალს“ შორის მოხდა. მკაცრი სასჯელი მიიღო ესპანელმა ხუანიტომ — მას 1992 წლის 31 ივლისამდე ჩამოერთვა ევროპის საკლუბო ტურნირებში მონაწილეობის უფლება. მადრიდის „რეალს“ მოუწევს ჯარიმის — 40 ათასი შვეიცარიული ფრანკის გადახდა. გუნდი ორ მომდევნო თამაშს „სანტიაგო ბერნაბეუს“ სტადიონზე ცარიელი ტრიბუნების წინ ჩაატარებს. უეფა-მ აკრძალა ამ შეხვედრების ტელევიზიით ან რადიოთი გადაცემა. ერთი თამაშით დისკვალიფიკაცია მიეცა მექსიკელ უგო სანჩესს, ხოლო ოთხით—„ბაიერნის“ ფეხბურთელს აუგენტალერს.

მიმომხილველთა აზრით, უეფა-ს სანქციები მეტისმეტად მკაცრია. სხვათა შორის, „რეალს“ : მაისამდე შეუძლია საჩივარი შეიტანოს უეფა-ს სააპელაციო კომიტეტში.



## ...მხოლოდ ტექნიკური დირექტორი

ცნობილი შვედი სპეციალისტი ლიდჰოლმი, რომელიც ახლა 64 წლისაა, იტალიაში დიდი ავტორიტეტით სარგებლობს. მან ჯერ „მილანს“, შემდეგ კი—„რომასაც“ ჩემპიონის სახელი მოუპოვა. ახლანდელი მეხუთე ადგილი „მილანის“ დირექტორატს არ აკმაყოფილებს, ამიტომ ჯოხი ლიდჰოლმზე გადატეხეს — ამიერიდან იგი გუნდის მწვრთნელი აღარ იქნება, ტექნიკური დირექტორის მოვალეობას შეასრულებს. მწვრთნელად დაინიშნა იტალიის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი ფაბიო კაპელო და მდგომარეობის გამოსწორებაც მას დაევალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქუთაისელი რეგბისტი შეუდარებელი იყო

დასასრული

აი, რა გვითხრა მატჩის წინ უფროსმა მწვრთნელმა იგორ ბობკოვმა:

— მართალია, ტუნისელები ჩემპიონატის ფავორიტები არ არიან, მაგრამ საკმაოდ ძლიერი გუნდი ჰყავთ. მათ ფრანგი სპეციალისტი ფრანსის კრესპო ავარჯიშებს. ჩვენი მეტოქეები ტექნიკურ და ძალისმიერ თამაშს კარგად უთავსებენ ერთმანეთს, ბრძოლას ბოლო წუთებამდე არ წყვეტენ.

უფროსი მწვრთნელის ნათქვამი გამართლდა. ტუნისელები, რომლებიც წარმატების შემთხვევაშიც კი გათამაშების ცხრილში ერთი ადგილითაც ვერ დაწინაურდებოდნენ, უაღრესად აქტიურად, შეიძლება ითქვას, თავგანწირულადაც კი იბრძოდნენ — თითქმის უშეცდომოდ, მჭიდროდ მოქმედებდნენ დაცვაში. ტანდაბალი და მსუბუქი წონის მორკინალები ტოლს არ უდებდნენ მათზე ძლიერ და ტანმაღალ კოლეგებს. ამიტომ მატჩის ბედი ბოლო წუთებამდე გაურკვეველი იყო. დიახ, ჩვენი ქვეყნის ნაკრებს, მიუხედავად იმისა, რომ იგი მალე დაწინაურდა, გაუჭირდა გამარჯვების მოპოვება, ნუგზარ ძაგნიძემ საკმაოდ რთული პოზიციიდან ოსტატურად დაარტყა საჯარიმო, მაგრამ რამდენიმე წუთის შემდეგ სტუმართა მცველმა ბუგამნიმ ანგარიში საჯარიმოთივე გაათანაბრა. დარჩენილ დროში, ერთგვარი ტერიტორიული უპირატესობის მიუხედავად, საბჭოთა რეგბისტებმა ვერაფერი გააწყვეს ტუნისელთა დაცვასთან. ამას ისიც დაემატა, რომ უსისტემოდ, დუნედ თამაშობდნენ ჩვენი თავდამსხმელები და ნახევარმცველები.

თითქმის ანალოგიურად წარიმართა თამაშის მეორე ნახევარი, რომლის დასაწყისშივე ძაგნიძემ და ბუგამნიმ კიდევ თითოჯერ გამოიყენეს საჯარიმო დარტყმა. მატჩი იწურებოდა... მეტოქეებს კიდევ ერთი შესაძლებლობა მიეცათ ანგარიშის შესაცვლელად. ბუგამნისა და ძაგნიძის ამ თავისებურ დუელში ქართველმა რეგბისტმა იმარჯვა. მისმა ზუსტმა დარტყმამ გამარჯვება მოუტანა ქვეყნის ნაკრებს, რომელმაც პრაქტიკულად გაინაღდა ვერცხლის მედლები, რადგან პორტუგალიის სუსტი გუნდის დამარცხება საბჭოთა რეგბისტებს ალბათ არ გაუჭირდებათ.

**კომენტარი მატჩის შემდეგ:**

ი. ბობკოვი: ვიცოდით, რომ ტუნისელები შესანიშნავად თამაშობენ დაცვაში. ამიტომ ჩვენს გუნდს მიზნად დავუსახეთ სწრაფი იერიშების განხორციელება და შეტევის მიმართულების ხშირი ცვლა, მაგრამ ჩვენმა რეგბისტებმა, რომელთაც არ ჰყოფნით ინდივიდუალური ოსტატობა, ვერ შეასრულეს დავალება. ვერც მორკინალებმა ივარგეს. რა თქმა უნდა, იგრძნობოდა მირონოვისა და ხაირულინის არყოფნა. ფრთის სამეოთხედელებმა ბორისოვმა და ვოროპაევმა ძალიან სუსტად ითამაშეს. ამ ძნელ წუთებში შეუდარებელი იყო მცველი ნუგზარ ძაგნიძე. სწორედ მისმა კარგმა თამაშმა და, რაც მთავარია, ზუსტმა დარტყმებმა გადაწყვიტა მატჩის ბედი. საბჭოთა ნაკრებში ერთადერთი მოთამაშე, რომელიც ფრანგმა და იტალიელმა სპეციალისტებმა შეაქეს, ძაგნიძე იყო. ერთი სიტყვით, ნუგზარის დებიუტი ბრწყინვალე გამოდგა. მან თავისი ადგილი [illegible] ნაკრების შემადგენლობაში, [illegible] მთავარ მწვრთნელს რეგბიში ედგარ ტატურიანს სწამს, რომ ძაგნიძემ „დიდი რეგბი“ უნდა ითამაშოს. აქვე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო მასპინძელი ქალაქისა და სპორტის ხელმძღვანელებს მატჩის შესანიშნავი ორგანიზაციისათვის, ხოლო გულშემატკივრებს — აქტიური ქომაგობისათვის. მე და ჩემს კოლეგებს რეგბის ამდენი მაყურებელი ჩვენს სტადიონებზე არ გვინახავს. 15 000 გულშემატკივარი! — ეს ერთგვარი რეკორდია. ერთი სიტყვით, გუნდის სახელით „დიდი მადლობა!“.

**თამაზ ხარაბაძე.**
„ლელოს“ საკ. კორ.

ქუთაისი.

# ერთგულების ლატარია. რა ხდება სინამდვილეში?

**თბილისის** „დინამოს“ სტადიონზე საფეხბურთო ლატარიის გათამაშებას იმთავითვე ჰყავდა მოწინააღმდეგეებიც და მომხრეებიც. პასუხი კითხვაზე, საჭიროა თუ არა ასეთი ღონისძიება, თვით ცხოვრებამ გასცა. მიმდინარე წლიდან მთელ საბჭოთა კავშირში გავრცელდა თბილისური ექსპერიმენტი. მაგრამ სკეპტიკოსი, მოგეხსენებათ, ადვილად არ ყრის ფარ-ხმალს. რა დასამალია, ახლა ისეთი ხმები ვრცელდება, თითქოს, რაკი ლატარია უწინდებურად ტაიმებს შორის შესვენებისას აღარ თამაშდება, რალაც მაქინაციები ხდება.

— დაბეჯითებით და სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ ლატარია ისე თამაშდება, არაობიექტურობის მცდელობაც კი გამორიცხულია — ამბობს „დინამოს“ სტადიონის დირექტორის მოადგილე ვახტანგ ჩხიკვიშვილი და განაგრძობს: მართალია, ხალხი უწინდებურად მრავლად აღარ დადის ჩვენს სტადიონზე, ახლა ნაკლებად იყიდება ლატარიის ბილეთებიც, მაგრამ ეს ტირაჟზე არ მოქმედებს. გაუყიდველი ბილეთები ტირაჟის წინ ნადგურდება (ვწვავთ), მაგრამ გათამაშებაში ამ განადგურებული ბილეთების ნომრებიც მონაწილეობს. ასე რომ, შეიძლება გამოცხადდეს მოგება, მაგრამ ბილეთი ფაქტიურად აღარ იყოს. ასეთი მოგება, როგორც წესი გაუთამაშებელი რჩება. იქნებ ეს ხდება მითქმა-მოთქმის საბაბი? აი, მაგალითად V ტირაჟში ამ მიზეზით ორი მსუბუქი მანქანა არ გათამაშდა. I და II ტირაჟებში თითო მანქანის მფლობელი არ გამოცხადდა.

შემდეგ ჩვენი თხოვნით თანამოსაუბრემ გაგვაცნო იმათი ვინაობაც, ვინც წელს საფეხბურთო ლატარიით მსუბუქი ავტომანქანა მოიგო:

I ტირაჟი. ოლეგ ჰანტურია—ენგურჰესის უბნის უფროსი; ოთარ ნარმანია — კოლმეურნე (გალი), ბესიკ სიმიტაშვილი — მწვრთნელი (ყვარელი), ერთი არ გამოცხადდა და მოგება გაუქმდა;

II ტირაჟი. რამაზ ლურსმანაშვილი — სამხედრო მოსამსახურე, ნიკოლოზ იაკობაშვილი — „გეოლოგმონტაჟის“ ოსტატი (თბილისი), მადონა ცაავა — საქტანსაცმელვაჭრობის საქონლის მიმღები (თბილისი), აქაც ერთი არ გამოცხადდა, მოგება გაუქმდა;

III ტირაჟი. რომან პავლიაშვილი — მძღოლი (თეთრი წყარო), მიხეილ ათაბეგაშვილი — ინჟინერი (თბილისი), ელგუჯა ჩადუნელი — მონტიორი (თბილისი, საბურთალოს რაიონის სატელეფონო კვანძი). გურამ ძველაია — გამყიდველი (საქარხნო რაიონის კვებვაჭრობა);

IV ტირაჟი. ემზარ პელეევი — მერემონტე (გარდაბანი), ნოდარ ჯოჯუა — ოსტატი (გარდაბანი), ალექსანდრე თიგიშვილი — მუშა (თბილისი, საგალანტერეო ბაზა), სიმონ ნოზაძე — უშიშროების თანამშრომელი.

V ტირაჟი. ზაურ გვიმრაძე — მებუფეტე (თბილისი, რესტორანი „ქალაქური“), გურამ ჰანტურიძე — მაღაზიის გამგე (თბილისი, საქარხნო რაიონი). ორი გათამაშებული ავტომანქანის ბილეთი გაუყიდველ და განადგურებულ ლატარიის ბილეთებში მოხვდა.

და ბოლოს, ვახტანგ ჩხიკვიშვილმა (მას ავალია გათამაშების კონტროლი) გვითხრა, რომ მოგებული ბილეთებით უმალვე ცხადდებიან საბუთების გასაფორმებლად და ისინი, ვისაც ხელთ აქვთ ბედნიერი ბილეთი, დაუყოვნებლივ ტარდებიან რეგისტრაციაში. ასე რომ, ეჭვები უსაფუძვლოა.

# ვისი წინადადება გაიმარჯვებს?

**საერთაშორისო** საჭადრაკო ფედერაციის — ფიდე-ს პრეზიდენტ ფლორენსიო კამპომანესს ლიუცერნში ხუთი კონვერტის გახსნა მოუხდა — სწორედ ამდენი მსურველი გამოჩნდა მოჭადრაკე ვაჟთა მსოფლიო ჩემპიონის სახელისთვის გასამართი მატჩის მასპინძლობისა — სოჭი, სიეტლი (აშშ), მადრიდი, სევილია (ესპანეთი), არაბთა გაერთიანებული საემიროები.

„საჭადრაკო გვირგვინისთვის“ მებრძოლნი — მსოფლიო ჩემპიონი გარი კასპაროვი და ექსჩემპიონი ანატოლი კარპოვი ორ კვირაში გადაწყვეტენ, ვისი წინადადება მიიღონ. ორი კვირის შემდეგ ფიდე-ს პრეზიდენტი გვამცნობს, რომელ ქალაქში შეხვდებიან ერთმანეთს ამა წლის სექტემბერ-ოქტომბერში მსოფლიოს უძლიერესი მოჭადრაკეები.

# „სპორტლოტო“

**გუშინწინ** მოსკოვში შედგა „სპორტლოტოს“ მორიგი, მე-18 ტირაჟები.

**„სპორტლოტო 6 45“-დან:** 13 (სამთო-სათხილამურო სპორტი), 26 (თანამედროვე ხუთჭიდი), 27 (მშვილდოსნობა), 29 (სასტენდო სროლა), 36 (მხატვრული ტანვარჯიში), 44 (ჭადრაკი).

**„სპორტლოტო 5 36“-დან:** 1 (კალათბურთი), 3 (ბობსლეი), 26 (თანამედროვე ხუთჭიდი), 30 (ძალოსნობა), 35 (შაიბიანი ჰოკეი).

## ინფორმაცია

**რეიმსი (საფრანგეთი).** ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატში, რომელიც შაბათს, 9 მაისს დამთავრდება 25 ქვეყნის 160-მდე ათლეტი მონაწილეობს. 52 კგ წონით კატეგორიაში ოქროს მედალი ბულგარელმა სევდალინ მარინოვმა მოიპოვა (260 კგ). 60 კგ წონაში ევროპის ჩემპიონი მეორე ბულგარელი შტანგისტი მიტკო გრიბლიოვი (295 კგ) გახდა. საბჭოთა ნაკრებს ამ წონებში მონაწილე არ ჰყავდა.

**ნიუ-იორკი.** მსოფლიო თასი 50 კილომეტრზე სპორტულ სიარულში გდრ-ის წარმომადგენელმა რონალდ ვაიგელმა მოიგო — 3:42.26. საბჭოთა სპორტსმენთაგან საუკეთესო შედეგი — IV ადგილი ვიაჩესლავ ივანენკოს ჰქონდა.

**პარიზი.** საფრანგეთში გრძელდება საერთაშორისო მრავალდღიანი ველორბოლა „რუბენ გრანიტერ ბრეტონი“. მეხუთე ეტაპი, რომლის სიგრძე 164 კილომეტრი იყო, ხარკოველმა ალექსანდრე ზინოვიევმა მოიგო — 4:09.09. ხუთი ეტაპის ჯამში წინ არის მეორე საბჭოთა ველოსიპედისტი იგორ სუმნიკოვი. ზინოვიევი მეორე ადგილზეა.

**ციურიხი.** ხელბურთში ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის პირველ ფინალურ მატჩში ადგილობრივმა „ამიციტიამ“ მოსკოვის ცსკა დაამარცხა 18:16 (8:9). განმეორებითი შეხვედრა მოსკოვში 10 მაისს გაიმართება.

**მადრიდი.** ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციის თასის პირველ ფინალურ მატჩში კაუნასის „გრანიტასისა“ და ადგილობრივი „რეალის“ ორთაბრძოლა ფრედ — 23:23 (12:13) დამთავრდა.

## მსოფლიო სპორტის ვარსკვლავები

# მილოსლავ მეჩირი

**ჩოგბურთის** ჩეხოსლოვაკური სკოლა დღეს კარგი რეპუტაციით სარგებლობს. ივან ლენდლი მსოფლიოში № 1 ჩოგბურთელია, ჰანა მანდლიკოვა კი — ერთ-ერთი საუკეთესო. დაწინაურდა კიდევ ერთი, ახალგაზრდა ოსტატი მილოსლავ მეჩირი, რომელიც ამ ბოლო დროს წარმატებით გამოდის და ლენდლის სერიოზულ მეტოქედაც კი ითვლება.

მილოსლავ მეჩირი 1964 წლის 19 მაისს დაიბადა ჩეხოსლოვაკიის პატარა ქალაქ ბოინიცაში. ჩოგბურთს 6 წლის ასაკიდან თამაშობს, 11 წლისა კი სხვადასხვა რანგის შეჯიბრებაში მონაწილეობს. საინტერესოა, რომ ჩავარდნა მეჩირს არ ახსოვს. მისი სპორტული გზა სწორხაზოვანია, — ქვევიდან ზევით, სულ უფრო დიდი წარმატებებისკენ. როდესაც ახალგაზრდა სპორტსმენს ეკითხებიან: „რა გეგმები გაქვთ?“, იგი ყველა ჟურნალისტს ერთნაირად პასუხობს: „მინდა უკეთ ვითამაშო!“ ამ „გეგმას“ მეჩირი, უნდა ითქვას, კარგად ასრულებს.

როცა ჩოგბურთის 1983 წლის საერთაშორისო სეზონის შედეგები შეჯამდა, 19 წლის მილოსლავს ფრიად მოკრძალებული, 101-ე ადგილი ეკავა მსოფლიოში. 1984 წლის შედეგების მიხედვით იგი მესამოცე იყო. ეს უკვე წინსვლას ნიშნავდა. 1985 წელს მეჩირი მეცხრე იყო, შარშან ზაფხულში კი იგი უიმბლდონში 8 უძლიერეს მოთამაშეს შორის მოხვდა, მაგრამ განსაკუთრებული ყურადღება წლის მეორე ნახევარში მიიქცია, როდესაც ბრწყინვალედ გამოვიდა აშშ-ის ღია ჩემპიონატში. პირველი სამი მატჩის მოგების შემდეგ იგი მეოთხედფინალში ცნობილ შვედ ოსტატ ნისტრიომს შეხვდა. წინასწარი შეფასებით, უპირატესობას უმეტესობა ნისტრიომს ანიჭებდა, მაგრამ ზოგს ერთი გარემოება აფიქრებდა: ბოლო სამი წლის მანძილზე მეჩირს მეტსახელად „შვედების როსხვას“ ეძახდნენ — იგი ნებისმიერ შვედ ჩოგბურთელს ამარცხებდა. გამონაკლისი არც ნისტრიომი ყოფილა. მეჩირმა ისიც დაამარცხა და ნახევარფინალში უიმბლდონში ორგზის გამარჯვებულ ბეკერსაც (გფრ) სძლია. ეს უბრწყინვალესი წარმატება იყო. შთაბეჭდილება არც ფინალში ლენდლთან წაგებას გაუფუჭებია — ასეთ უძლიერეს ტურნირში მეორე ადგილის დაკავებაც ძალიან ბევრს ნიშნავდა.

მაგრამ, ყველაზე დიდ წარმატებას მეჩირმა მაინც წელს მიაღწია. იანვარში იგი ახალ ზელანდიას ეწვია და ოკლენდის საერთაშორისო ტურნირში მიიღო მონაწილეობა, საინტერესოა, რომ აქ ჩეხოსლოვაკიელ „ვარსკვლავს“ სერიოზული წინააღმდეგობა ვერავინ გაუწია. ფინალში მასთან დამარცხების შემდეგ (2:6, 3:6, 4:6), შაპურსმა ჟურნალისტებს განუცხადა: „მეჩირი, ეტყობა, უსწრაფესი მოთამაშეა თანამედროვე ჩოგბურთელებს შორის“. ოკლენდს მელბურნში გამართული ავსტრალიის ღია ჩემპიონატი მოჰყვა. მეოთხედფინალში მეჩირმა, თავისი მეტსახელის მიუხედავად, წააგო ედბერგთან (1:6, 4:6, 4:6), მაგრამ რამდენიმე დღის, შემდეგ საერთაშორისო ტურნირი მოიგო სიდნეიში. სამ შეჯიბრებაში ორი პირველი პრიზი — ასეთი შედეგით დაბრუნდა ახალგაზრდა ჩოგბურთელი სამშობლოში.

ძირითადი შეჯიბრება წინ იყო — „ლიპტონ ინტერნეიშნლ პლეიერსი“, რომელიც გაიმართა აშშ-ის ქალაქ კეი-ბისკეინში (23 თებერვალი — 8 მარტი), მსოფლიოს უძლიერესი ოსტატების მონაწილეობით. აქ მეჩირმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა — ზედიზედ დაამარცხა არიასი, ჟივოინოვიჩი, ედბერგი (რევანში მელბურნში დამარცხებისათვის!), ნოა და ფინალში გავიდა, სადაც მის თანამემამულეს, მსოფლიოში უძლიერეს ივან ლენდლს შეხვდა. 11 ათასი მაყურებელი დაესწრო ამ მატჩს. იგი მეჩირმა მოიგო (7:5, 6:2, 7:5) და მას უძვირფასესი უწოდა. ცნობილი ექსპერტების აზრით ასეთ საბრძოლო მზადყოფნაში იგი არასოდეს ყოფილა. სწორედ ამან შეაძლებინა შემდეგში უძლიერესი შემადგენლობის საერთაშორისო ტურნირებში პირველი ადგილისათვის ბრძოლა. აპრილში მეჩირმა დალასის საერთაშორისო ტურნირის ფინალში მაკინროუს სძლია (6:0, 3:6, 6:2).

ამას წინათ ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციამ უძლიერესი ჩოგბურთელების სია გამოაქვეყნა, მეჩირმა მეცხრედან, რომელიც წლის დასაწყისისათვის ეკავა, მეექვსე ადგილზე გადაინაცვლა. რაც შეეხება „გრან-პრისათვის“ მებრძოლთა სიას, აქ იგი მეორე ადგილზეა. მილოსლავ მეჩირი მომავალს იმედის თვალით უყურებს.

**რედაქტორი**
**თ. გაჩეჩილაძე.**

**საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტის დეკანატი** სტუდენტების საყურადღებოდ აცხადებს, რომ ზაფხულის საგამოცდო სესიები ტარდება შემდეგი გრაფიკით:

**V კურსი — 6-26 მაისი**
**I კურსი — 15-29 მაისი**
**II კურსი — 1-15 ივნისი**
**III-IV კურსი — 1-20 ივნისი.**

სტუდენტები ვალდებულნი არიან ინსტიტუტში გამოცხადებისას წარმოადგინონ შრომის წიგნაკის ამონაწერი პროფილით მუშაობის შესახებ და დახასიათება სამუშაო ადგილიდან.

სტუდენტები, რომლებმაც დროულად ვერ ჩააბარეს დავალიანება საგნებში, გამოცდებზე არ დაიშვებიან.

**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — [illegible].
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“

**რედაქციის ტელეფონები:**
ხამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
წერილების განყოფილება — 93-97-55,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

**ჩვენი ინდექსი:** 66425

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. [illegible], თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ბოშარაულის, 23.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 უე 05328